მონაცემთა ინიციატივა 2009

შინამეურნეობების მისამართების გადამოწმების ინსტრუქციები

მაღალი ხარისხის კვლევის ჩატარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა შინამეურნეობების ზუსტი სიების არსებობა შერჩეულ კლასტერებში. კვლევის რეპრეზენტატულობა და მისი შედეგების სანდოობა ამ სიების სიზუსტეზეა დამოკიდებული.

2009 წლის "მონაცემთა ინიციატივის" შერჩევა ეფუძნება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებულ საარჩევნო უბნების სიას. პირველადი შერჩევის ერთეული, ანუ კლასტერი, წარმოადგენს საარჩევნო უბანს, რომელსაც მკაფიო საზღვრები აქვს. ამ საზღვრების აღწერილობას მიიღებთ საველე სამუშაოების დაწყების წინ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად. 2009 წლის "მონაცემთა ინიციატივის" შერჩევაში მოხვდა 98 პირველადი შერჩევის ერთეული საქართველოს ყველა რეგიონიდან.

ყოველ შერჩეულ კლასტერში საველე სამუშაოების პირველ აუცილებელ ეტაპს შინამეურნეობების მისამართების გადამოწმება (შმბ) წარმოადგენს. შმბ-ს მიზანია მივიღოთ შინამეურნეობების ზუსტი სია თითოეული კლასტერისათვის.

შინამეურნეობების მისამართების გადამოწმების პროცესი

სამუშაოს შესრულებისათვის ყოველ ინტერვიუერს გადაეცემა შემდეგი დოკუმენტები:

- შერჩეული საარჩევნო უბნის **საზღვრების აღწერა**, რომელიც მოწოდებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული ამ საარჩევნო უბნის ტერიტორია;

- **შინამეურნეობების მისამართების გადამოწმების ფორმა**, რომელიც სპეციალურად შემუშავდა 2009 წლის "მონაცემთა ინიციატივის" კვლევისათვის, შესაბამის **ინსტრუქციებთან** ერთად;

- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ დამზადებული "**ბეიჯი**" ინტერვიუერის **სურათით** და ოფიციალური **წერილი**, სადაც ახსნილია საველე სამუშაოების მიზანი და მოცემულია ჩვენი ორგანიზაციის საკონტაქტო ტელეფონები.

ინტერვიუერები კარგად უნდა გაეცნენ ამ დოკუმენტებს საველე სამუშაოების დაწყებამდე, რათა შეძლონ დამაჯერებლად აუხსნან ყველა დაინტერესებულ პირს (მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ მთავრობას) თავიანთი საქმიანობის მიზანი.

შერჩეულ საარჩევნო უბანში ინტერვიუერმა, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს უბნის საზღვრები (უბნის საზღვრების აღწერილობის საფუძველზე), ხოლო შემდეგ ამ საზღვრების ფარგლებში არსებული ყველა შინამეურნეობა შესაბამის ფორმაში უნდა შეიტანოს. დაიმახსოვრეთ, რომ ფორმაში უნდა შეიტანოთ **მხოლოდ** ის შინამეურნეობები, რომლებიც ბოლო 12 თვის მანძილზე <u>დროის უმეტეს ნაწილს</u> ამ საცხოვრისში ცხოვრობდნენ. შესაბამისად, შეიძლება მოგიწიოთ გადამოწმება მეზობლებთან, ცხოვრობს თუ არა ოჯახი ამა თუ იმ საცხოვრისში. ჩვენ გვაინტერესებს შინამეურნეობები, რომლებიც ამ საცხოვრისებში ცხოვრობენ და შმბ-ს ჩატარების შემდეგ უახლოესი 2 თვის მანძილზე იქვე იცხოვრობენ. ჩვენ არ გვაინტერესებს, მოცემული საცხოვრისი მათი საკუთრებაა თუ არა.

მუშაობის პროცესში ინტერვიუერმა თანმიმდევრულად უნდა შეიტანოს შინამეურნეობები შმბ ფორმაში, მათი რეალური განლაგების შესაბამისად; როდესაც შენობის ნომრები

ხელმისაწვდომია, სასურველია, მისამართები შეტანილი იყოს შმბ ფორმაში დაწყებული შენობის დაბალი ნომრებიდან, მაღალი ნომრების მიმართულებით. საცხოვრებელ კორპუსებში გთხოვთ დაიწყოთ შინამეურნეობების შეტანა შმბ ფორმაში, დაწყებული პირველ სართულზე მცხოვრები შინამეურნეობებიდან.

საცხოვრისები, რომლებიც არ გამოიყენება შინამეურნეობის საცხოვრებლად, არ უნდა შეიტანოთ შმბ ფორმაში. აუცილებლად გადაამოწმეთ მეზობლებთან, გამოიყენება თუ არა ესა თუ ეს სახლი/ბინა საცხოვრისად.

სასურველია ინტერვიუერებმა დახატონ შესაბამისი კლასტერების მარტივი რუკები, სადაც მითითებული იქნება, თუ სად მდებარეობს შმბ ფორმაში შეტანილი საცხოვრისები. ეს დაეხმარება მათ შმბ-ს პროცესში და აგრეთვე გააადვილებს ინტერვიუერის მუშაობას საველე სამუშაოების მეორე ეტაპზე, ინტერვიუების ჩატარების დროს. გთხოვთ, გადასცეთ ყველა რუკა თქვენს ზედამხედველს და, საჭიროების შემთხვევაში, თან დაურთოთ აუცილებელი განმარტებები (ლეგენდა).

შინამეურნეობების მისამართების გადამოწმება სოფლებში

საქართველოს სოფლებში ხშირად არ გვაქვს ქუჩის დასახელება და შენობის ნომერი. ამის ნაცვლად, შინამეურნეობების იდენტიფიცირების ერთადერთ საშუალებას ხშირად ოჯახის უფროსის სახელი და გვარი წარმოადგენს. ეს მდგომარეობა გათვალისწინებულია შინამეურნეობების მისამართების გადამოწმების ფორმაში.

შინამეურნეობის მისამართების გადამოწმების ფორმის შევსება

ინტერვიუერმა უნდა აღწეროს მოცემული საარჩევნო უბნის საზღვრებში არსებული ყველა შენობა და შეიტანოს შინამეურნეობის მისამართების გადამოწმების ფორმაში ამ შენობებში არსებული ყოველი შინამეურნეობა.

შინამეურნეობის მისამართების გადამოწმების ფორმა შედგება ორი ნაწილისაგან: 1) საინფორმაციო ნაწილი და 2) მთავარი ნაწილი.

1. <u>საინფორმაციო ნაწილი</u>

ქვეყნის კოდი, პირველადი შერჩევის ერთეულის, ანუ კლასტერის ნომერი, რაიონის დასახელება, სტრატა, ისევე როგორც დასახლებული პუნქტის სახელი და მისი ტიპი (ქალაქი/სოფელი) წინასწარ იქნება ჩაწერილი შმბ ფორმაში თითოეული კლასტერისათვის. ინტერვიუერის და ზედამხედველის სახელები და მათი კოდებიც ამ გვერდზე უნდა ჩაიწეროს ზედამხედველის მიერ.

ინტერვიუერმა უნდა ჩაწეროს შინამეურნეობების მისამართების გადამოწმების დაწყების და დასრულების თარიღი შესაბამის კლასტერში.

ინტერვიუერების მუშაობის გასაიოლებლად, აქვეა მოყვანილი შინამეურნეობის მისამართების გადამოწმების ფორმის მთავარი ნაწილის მე-2 სვეტის კოდები.

2. <u>მთავარი ნაწილი</u>

შინამეურნეობების მისამართების გადამოწმების მთავარი ნაწილი 7 სვეტისაგან შედგება. ქვემოთ მოყვანილია ყოველი მათგანის შევსების ინსტრუქციები:

პირველ სვეტში მოცემულია შინამეურნეობების უნიკალური ნომრები მოცემული კლასტერის ფარგლებში. ეს სვეტიც წინასწარ არის შევსებული. სულ ჩაწერილია 518 ნომერი; ინტერვიუერებს დამატებით დაურიგდებათ შმბ ფორმის ფურცლები, რომლებშიც თვითონ შეძლებენ შინამეურნეობის უნიკალური ნომრების შეტანას, თუ მათ კლასტერში 518-ზე მეტი შინამეურნეობა აღმოჩნდება. დაიმახსოვრეთ, რომ შმბ ფორმის ამ სვეტში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოტოვოთ შინამეურნეობის რიგითი ნომერი და არ შეიძლება უნიკალური ნომრების დუბლირება. შმბ ფორმაში შეყვანილი შინამეურნეობების უნიკალური ნომრების თანმიმდევრობის შემოწმება საველე სამუშაოების ზედამხედველის მოვალეობაა, შმბ ფორმების CRRC ოფისში ჩაბარებამდე.

შმბ ფორმის ყველა დანარჩენი სვეტი <u>ინტერვიუერის მიერ</u> ივსება.

მე-2 სვეტი უნდა შეივსოს კლასტერის თითოეული შინამეურნეობისათვის. ამ სვეტში ფიქსირდება შენობის ტიპი,

სადაც შინამეურნეობა ცხოვრობს. ამ სვეტის შევსებისას გამოიყენება შემდეგი კოდები:

1. საკუთარი სახლი;
2. ბინა / ოთახი იტალიურ ეზოში;
3. საცხოვრებელი კორპუსი;
4. საერთო საცხოვრებელი;
5. სასტუმრო / სანატორიუმი მუდმივი მაცხოვრებლებით (მაგ., ლტოლვილები);
6. ბარაკი, ვაგონი;
7. სხვა საცხოვრისი.

მე-3, მე-4 და **მე-5 სვეტების** შევსება შესაძლებელი იქნება <u>მხოლოდ</u> ქალაქებში ან ძალიან დიდ სოფლებში, რადგან ეს ინფორმაცია სოფლებში ხშირად არ გვაქვს. ინტერვიუერმა კარგად უნდა გადაამოწმოს, არსებობს თუ არა ზუსტი მისამართები (ქუჩის სახელი და შენობის ნომერი) იმ კლასტერში, სადაც იგი მუშაობს, და ყველგან, სადაც ეს ინფორმაცია არსებობს, ზუსტად შეიყვანოს ის შმბ ფორმაში.

ქუჩის სახელი იწერება **მე-3 სვეტში**.

შენობის ნომერი იწერება **მე-4 სვეტში**.

ბინის ნომერი იწერება **მე-5 სვეტში**. ეს სვეტი არ ივსება საკუთარი სახლების შემთხვევაში, თუ საცხოვრისის კოდი შმბ ფორმის **მე-2 სვეტში** არის '1'; თუმცა, ეს სვეტი აუცილებლად შეივსება საცხოვრებელი კორპუსების ან მსგავსი შენობების შემთხვევაში, როდესაც მე-2 სვეტში გვექნება კოდები: '3', '4' ან '5'. ზოგ შემთხვევაში, ბინის ნომერი გვეცოდინება აგრეთვე ე.წ. "იტალიურ ეზოში" მდებარე საცხოვრისებისთვის (კოდი '2' მე-2 სვეტში), თუმცა ეს ყოველთვის არ იქნება შესაძლებელი.

ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ: როდესაც მე-3, მე-4 და მე-5 სვეტები შევსებულია, მე-6 სვეტი **ᲐᲠ ᲘᲕᲡᲔᲑᲐ**. მე-6 სვეტი ივსება **მხოლოდ** იმ შემთხვევებში, როდესაც არ გვაქვს შინამეურნეობის იდენტიფიცირების სხვა საშუალება, კერძოდ, როდესაც არ არის მოცემული ზუსტი მისამართი. ასეთი შემთხვევები მოსალოდნელია საშუალო და პატარა სოფლებში; რაც შეეხება

ქალაქებს, ეს <u>მხოლოდ</u> "იტალიური ეზოების" შემთხვევაში შეიძლება გახდეს საჭირო.

მე-6 სვეტში იწერება შინამეურნეობის უფროსის სახელი, გვარი და მამის სახელი, იმ შემთხვევებში, როდესაც არ გვაქვს შინამეურნეობის საცხოვრისის ზუსტი მისამართი. როდესაც ამ სვეტის შევსება გახდება საჭირო, გთხოვთ რაც შეიძლება სრულად შეავსოთ ის (მიუთითოთ შინამეურნეობის უფროსის გვარი, სახელი და მამის სახელი), ვინაიდან ეს ინფორმაცია წარმოადგენს შინამეურნეობის იდენტიფიცირების ერთადერთ საშუალებას.

ნებისმიერი განსაკუთრებული შემთხვევა, რასაც შმბ-ს პროცესში ექნება ადგილი, დეტალურად უნდა აიხსნას **მე-7 სვეტში ("შენიშვნა")** ინტერვიუერის მიერ, და შემოწმდეს ზედამხედველის მიერ. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ დამატებითი ფურცლები, ან შმბ ფორმის მეორე მხარე. <u>**აუცილებლად მკაფიოდ მიუთითეთ მე-7 სვეტის შესაბამის უჯრაში**</u>, რომ ამ შინამეურნეობასთან დაკავშირებით არსებობს დამატებითი შენიშნვები, და სად მოვიძიოთ ეს შენიშვნები.

ყველაზე ფართოდ გავრცელებული განსაკუთრებული შემთხვევებია: გაერთიანებული საცხოვრისები, გაყოფილი შინამეურნეობები და დაკეტილი საცხოვრისები (რომელთა ზუსტი სტატუსის დადგენაც ვერ მოხერხდა).

<u>გაერთიანებული საცხოვრისები:</u>

ჩვენ გვაინტერესებს გაერთიანებული საცხოვრისების ისეთი შემთხვევები, როდესაც შინამეურნეობის წევრები რეალურად ცხოვრობენ ასეთი საცხოვრისის ყველა შემადგენელ ნაწილში. ჩვენ არ გვაინტერესებს ის შენობები, რომლებიც ამჟამად შენდება ან ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გამოიყენება საცხოვრისად, თუმცა წარმოადგენს შინამეურნეობის საკუთრებას.

ერთი შინამეურნეობა შეიძლება ფლობდეს ორ ან მეტ ბინას საცხოვრებელ კორპუსში, ან ორ ან მეტ კერძო სახლს. ასეთ შემთხვევებში, **მე-5 სვეტში** იწერება ორი (ან მეტი) ბინის ნომერი, რომლებიც მძიმით გამოიყოფა ერთმანეთისგან (ან **მე-4 სვეტში** იწერება ორი ან მეტი სახლის ნომერი, რომლებიც აგრეთვე მძიმით გამოიყოფა ერთმანეთისგან) **და** ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა განიმარტოს **მე-7 სვეტში** (მაგ.: *"გაერთიანებული*

საცხოვრისი, რომელიც ერთსა და იმავე შინამეურნეობას ეკუთვნის").

თუ გაერთიანებული საცხოვრისები დაფიქსირდა სოფლებში, სადაც არ გვაქვს ზუსტი მისამართები, მაშინ ბინის ან სახლის ნომრების ნაცვლად **მე-7 სვეტში** მიუთითეთ სახლების რაოდენობა, რასაც ეს შინამეურნეობა ფლობს, და შესაძლებლობისამებრ აღნიშნეთ ეს რუკაზე.

<u>გაყოფილი შინამეურნეობები:</u>

თუ ერთ საცხოვრისში ორი (ან მეტი) შინამეურნეობა ცხოვრობს, ყოველი მათგანი **ცალკე** უნდა დაფიქსირდეს შმბ ფორმაში. ასეთ შემთხვევებში, თუ ქალაქში ერთ საკუთარ სახლში ორი შინამეურნეობა ცხოვრობს, შმბ ფორმაში ორჯერ იქნება ჩაწერილი ერთი და იგივე მისამართი **და** შესაბამისი შენიშვნა უნდა იყოს გაკეთებული **მე-7 სვეტის** შესაბამის უჯრაში (მაგ.: *"ამ მისამართზე ორი/სამი შინამეურნება ცხოვრობს"*). დამატებით, თითოეული ამ შინამეურნეობის ამოსაცნობი ინფორმაცია უნდა იქნეს მოყვანილი (მაგ: *„შესასვლელი კიბიდან", „ცხოვრობენ პირველ სართულზე";* ან მიუთითეთ შინამეურნეობის უფროსის სახელი და გვარი მე-6 სვეტში)

<u>დაკეტილი საცხოვრისები:</u>

საცხოვრისი, რომელშიც არავის არ უცხოვრია ბოლო 6 თვის განმავლობაში, ისევე როგორს საცხოვრისი, რომელიც არ არის შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისი (მაგ., აგარაკი) და სადაც მფლობელები პერიოდულად ცხოვრობენ, ითვლება დაკეტილ საცხოვრისად. ასეთი საცხოვრისები <u>**არ**</u> უნდა შეიყვანოთ შმბ ფორმაში.

სხვა მხრივ, საცხოვრისები, რომლის სტატუსის დადგენაც ვერ მოხერხდა, აუცილებლად უნდა შეიტანოთ შმბ ფორმაში **და** ჩაწეროთ შესაბამისი შენიშვნა **მე-7 სვეტში** (მაგ.: *"ვერ მოხერხდა საცხოვრისის სტატუსის დადგენა").*

ყურადღება!

შმბ-ს პროცესში შექმნილი სირთულეების შემთხვევაში დაუკავშირდით საველე სამუშაოების ზედამხედველს თქვენს რეგიონში:

_____

ტელ.: _____

* * *

დიდი მადლობა, რომ მუშაობთ კავკასიის კვლევით რესურსების ცენტრთან ერთად. იმედი გვაქვს, რომ ხარისხიან სიებს მივიღებთ თქვენგან.

საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ უშაულოდ ცენტრის წარმომადგენლებს:

ქრისტინა ვაჭარაძე – 899 38 80 64

გიორგი ბაბუნაშვილი – 893 12 85 21